16-ს მარტს　　წელიწადი მეორე.　　1884 წელსა.

# მწყემსი

№ 6.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით. გაზეთის „მწყემსის" რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкемси" (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი და თუ ავტორთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ, რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: ოფიციალური ნაწილი. განჩინება უწმიდესი სინოდისა. მართებლობის განკარგულება. უმაღლესი დაჯილდოება.—არა ოფიციალური ნაწილი. ქადაგებითი სიტყვის გავრცელების საჭიროების შესახებ.—ჭკუმპარიტების აღდგინების გამო.—შენიშვნა.—წერილები რედაქტორთან: I. ახალციხიდამ.—II. იმერეთიდამ.—ისტორიული მასალა.—სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.—ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა.—სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე. სიტყვა დიდ მარხვის მეხუთე კვირიაკესა, არხიეპისკოპოსი ეპვლესი.—მოკლე სიტყვა იმერეთის ეპისკოპოსისა.—განცხადებანი.

რადგან ყველა ნომრები „მწყემსი"-სა წარსული და მიმავალი წლისა სრულებით გავიდა, ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მარტის თვიდამ. დაწვრილებითი პირობაები გაზეთის დაბარებაზე იხილე მეთექვსმეტე გვერდზე.

## ოფიციალური ნაწილი.

### განჩინება უწმიდესი სინოდისა.

თხოვნათამებრ უკანვე მიღებაზე სასულიერო სემინარიაში და ოთხ-კლასიან სასწავლებლებში ერთხელ დათხოვნილთა მოწაფეთა ამ სასწავლებლებიდგან.

შავინახეთ საქმის წარმოებისაგან 0. წმიდესსა სინოდსა შინა, რომ ზოგიერთნი სემინარიის და სასწავლებლების მოწაფენი, ერთხელ დათხოვნის შემდეგ ამა სასწავლებლებთაგან ცუდი სწავლისა, ანუ არა კეთილი ყოფა ქცევისათვის, მოიქცევიან ან თვითონ, ანუ მათ მაგიერ მათი მამები, ანუ მონათესავენი თხოვნითა სასულიერო წოდებათა უმთავრეს სამართველოსა შინა, რომ იგინი ხელახლა იქმნენ მიღებულნი, ან იქმნენ დარჩენილნი სასწავლებლებში სწავლის შესასრულებლად და, მივიღეთ სახეში, რომ ამისთანა თხოვნების დაკმაყოფილება თანახმად მოქმედი სასწავლებლების წესდებისა და სინოდის განმარტებათა ექვემდებარება უმახლობელეს სასულიერო სასწავლებელთა მთავრო-

ბის განხილვას ადგილობრივი მღვდელ-მთავრების დამტკიცებით. Ⴓწმიდესი Ⴑინოდი, განსარჩენებლად ⴃ მოსასპობელად შემდეგი დროისათვის აღძვრისა ამისთანა არა ჯეროვან მიწერ მოწერათა უმთავრეს სასულიერო უწყების სამართველოსა შინა, რომელნიც არ ექვემდებარებიან Ⴓწმიდესი Ⴑინოდის განხილვას, 16-ს დეკემბრიდამ 1883 წელსა—12-ს იანვრიდამ 1884 წელსა, № 2636, ადგენს: გამოცხადებულ იქმნეს ყოველთა საცნობლად „საეკკლესიო ⴃ მართებლობის მახარებელთა" შინა დაბეჭვდით, რომ ყოველ-გვარი თხოვნა ზემო აღნიშნულ საგნებთამებრ, ჰირⴃ-ჰირ შემოსულნი უმთავრეს სასულიერო უწყებათა სამმართველოსა შინა, იქმნებიან დატევებულნი უყურადღებოდ ⴃ განუხილველად.

ცირკულიარული მიწერილობა სახალხო განათლების მინისტრისა სასწავლებლების ოლქების მზრუნველთადმი 30 იანვრიდამ 1884 წ., № 1556.

Ⴓმაღლესი ბრძანების საფუძვლით, მობრძანებულის უქვეშევრდომილესის მყოფის სახალხო მინისტრის დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკის გრაფის ტოლსტოის მოხსენებითა, 23 ფებერვალს 1876 წელსა, ნაბრძანები იყო, რომ მაღალს ⴃ საშუალო სასწავლებელთა შინა კურს შესრულებულთა ჰირთა ჰქონოდათ უფლება ჰირველ დაწყებითი სახალხო სკოლების მასწავლებლობისა მარტო ატესტატებით, ანუ მოწმობაების საფუძვლითა; რაისათვის, შესატყობად ჰედაგოგიური ნიჭისა ამისთანა ჰირთა, დადგენილი იყო მოეთხოვათ მათგან ერთი საშინჯი გაკვეთილის მიცემა.

Ⴋივიღეთ რა სახეში, რომ სასულიერო სემინარიებში ასწავლიან ჰედაგოგიკას ⴃ, რომ სემინარიებთან არიან გახსნილნი კვირის სკოლები პრაკტიკულად შესწავლისათვის ჰირველ დაწყებითი სწავლების საგნისა, სახალხო განათლების მინისტრს შესაძლებელად მიაჩნია, რომ მიენიჭოსთ ზემოთქმულს სასწავლებლებში სრულ კურსის შემსრულებელთა ჰირთა უფლება მასწავლებლად დანიშვნისა სასოფლო ჰირველ დაწყებით სკოლებში მოუთხოვნელად მათგან საშინჯი გაკვეთილის მიცემისა.

Ⴞელმწიფე იმპერატორმა ამისთანა ჩემს უქვეშევრდომილესს მოხსენებაზე, 13 დღეს ამა იანვრისა, უმაღლესად ინება ზემოხსენებული მოხსენების სისრულეში მოყვანა.

Ⴀმისთანა უმაღლესი ბრძანება ჰატივი მაქვს ვაუწყო თქვენს აღმატებულებას ჯეროვან სახელმძღვანელოდ სასწავლებლის ოლქისამებრ.

უმაღლესი დაჯილდოება.

Ⴞელმწიფე იმპერატორმა, წარდგინებისამებრ Ⴓწმიდესი Ⴑინოდის ობერ პროკურორისა, მინისტრთა კომიტეტის დადგინებისამებრ ყოვლად უმოწყალესად კეთილ ინება, 3-ს ამა მიმავალს ფებერვალს, დაჯილდოება გურიის ეპარხიის ქალაქ ოზურგეთის წმიდის მარინეს ეკკლესიის ბლაღოჩინის მღვდლის დავით დუმბაძისა ოქროს მედალითა ზედ წარწერით: „გადარჩენისათვის დაღუპვილთა" გულზე სატარებლად ვლადიმერის ლენტით.

# არა ოფიციალური ნაწილი.

## ქადაგებითი სიტყვის გავრცელების საჭიროების შესახებ.

პირველ სტატიაში ჩვენ დავპირდით მკითხველებს, რომ შეგვეტყობინებია მათთვის, თუ რა ზომებს ხმარობს ქადაგების სიტყვის გავრცელებისათვის დასავლეთი ევროპიის გამოჩენილი სამღვდელოება. ვასრულებთ ჩვენ აღნათქვამს.

დასავლეთი ევროპიის ხალხთა სამღვდელოების აზრით, ქადაგებითი სიტყვა არის ერთი უპირველესი საშუალება სარწმუნოების და კეთილ ზნეობის გავრცელებისათვის ხალხში. მღვდლის მოვალეობაში მოძღვრებითი სიტყვას პირველი ადგილი უკავია. ფრანგების ეკკლესიებში ხალხს ყოველთვის მღვდლის ქადაგება ესმის. განსაკუთრებით პროტესტანტების და ლოთრანგების წირვა ლოცვას, თითქმის, მღვდლის ქადაგება და სწავლებითი სიტყვა შეადგენს. პირველად მღვდელი წაიკითხავს პატარა ლოცვას და იგალობებენ რამეს; შემდეგ დაიწყება ქადაგება და ამით თავდება ყოველთვის მათი წირვაც და ლოცვაც.

მათ ეკკლესიებში ქადაგებითი სიტყვა ყოველთვის ისმის; მათ ქადაგებას ისმენს აურაცხელი ხალხი, მაგრამ ეს სამღვდელოება მაინც არ კმაყოფილდება მარტო ამ მსმენელებით. ყოველ კაცს არ შეუძლია ეკკლესიაში სიარული. ზოგს ისეთი თანამდებობა აქვს, ანუ ისეთ ადგილზე არის, რომ ბევრიც მოიმდომოს, ვერ წავა ეკკლესიაში ქადაგების და წირვის მოსასმენად. მაგრამ ფრანგების ნასწავლმა სამღვდელოებამ ამათთვისაც გამოიგონა იმისთანა ზომები და საშუალებანი, რომელთა წყალობით ყველას შეუძლია ეკკლესიაში წარმოთქმული ქადაგების წაკითხვა და მოსმენა. ის ქადაგებანი, რომელნიც ეკკლესიებში უნდა წარმოითქვან, აქვსთ რამდენიმე ასი და ათასი ეკზემპლიარი დაბეჭდილი; წარმოითქმება თუ არა ეკკლესიებში, გარეშე ხალხს ეს დაბეჭდილი ქადაგებანი ურიგდება ან ტყვილა, მუქთად, ან ძლიერ მცირე ფასად. მოიპოებენ თუ არა ამ ქადაგებაებს, ჯერეთ თვითონ კითხულობენ და შემდეგ სხვას უკითხვენ, ან სიტყვით გადასცემენ. ამ ნაირად ის სიტყვა-ქადაგება, რაც ეკკლესიაში მოისმინა ხალხმა, საქვეყნოდ ვრცელდება და ყველამ იცის. პირველად ქადაგების სიტყვის ბეჭვდა შემოიღო ბერლინში ერთმა სასახლის კარის მღვდელმა. ის თავის ქადაგებას ექვსას ეკზემპლიარს ბეჭდავდა, მაგრამ ბოლოს დროს საჭირო შეიქმნა, ორი ათას ეკზემპლიარამდე დაებეჭდა.

ამ ბოლოს დროს რუსეთის სამღვდელოებამაც წაჰბაძა დასავლეთი ევროპიის ნასწავლ სამღვდელოებას ქადაგებითი სიტყვის გავრცელებაში. არ არის დიდი ხანი, რაც პეტერბურღში, ისაკიევის სობოროში, დაწესდა რიგ-რიგობით შესამჩნევ და ნასწავლ სამღვდელო პირთაგან ქადაგების წარმოთქმა. ამ ქადაგებას ისმენს მრავალი ხალხი, მაგრამ მაინც საკმაოთ არ მიაჩნიათ მარტო მათი მოსმენა. გამოჩნდა ერთი კეთილი პირი, ისაკიევის სობოროს სტაროსტა დეისტვიტელნი სტატსკის სოვეტნიკი ბ. ბოლდანოვიჩი, რომელმან თავის ხარჯით მიიღო ბეჭდვა ამ სობოროში წარმოთქმულ ქადაგებათა ცალ-ცალკე წიგნაკებათ ამ სათაურით: „ისაკიევის კათედრა.“ გასაოცრად ყოველთა, აღმოჩნდა, რომ ხალხში ამ წიგნაკების მოპოების მსურველნი გამოჩნდენ ათასობით და ათი ათასობით. დღეს ორ დიდ ქალაქში, პეტერბურღში და მოსკოვში, თითქმის, ნიადაგ იბეჭდებიან შესანიშნავი ქადაგებანი და ურიგდება ხალხს, რომელიც დიდის სიამოვნებით ეგებება და კითხულობს მას.

ჩვენ წინეთაც ვსთქვით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენი სამღვდელოება ძლიერ გულ-გრილად უყურებს მოძღვრებითი, ქადაგების სიტყვას. უმთავრესი ყურადღება აქვსთ მიქცეული მღვდელ მოქმედების აღსრულებაზე, თუმცა სწავლებით სიტყვა მის მიუცილებელ მოვალეობას შეადგენს. მთელს საქართველოში ორ დიდ ეკკლესიაში ისმის ქადაგების სიტყვა და ისიც ორი პირისაგან. დანარჩენი სამღვდელოება კრძალვით გაჩუმებულან და შესცქერიან თავიანთ სამწყსოს. მართალია, ბევრს უსწავლელობა, ბევრს მოუმზადებლობა და სხვა ათასნაირი მიზეზები უშლიან ხელს; მაგრამ რას უყურებენ ისინი, რომელთაც მაღალ სასწავლებლებში სწავლა მიუღიათ, ანუ სემინარიის კურსი კარგად და რიგიანად გაუთავებიათ? სოფლის სამღვდელოებას გარს არტყია ათას ნაირი სოფლის ცხოვრების უსიამოვნება და დაკლებულობა; მოკლებულია იგი, რომ სასულიერო ლიტერატურას თვალ-ყური ადევნოს. ადვილი საქმე არ არის მისთვის ქადაგებითი სიტყვების წერა, როდესაც ნივთიერი მდგომარეობა და სიღარიბე გულს უწყლავს და შვილების გამოუზრდელობა ათას-ნაირ შემაწუხებელ ფიქრებს უბადავს მას თავში...

მაგრამ რა უნდა ვსთქვათ ქალაქების სამღვდელოებაზე? იმათ ხომ ყველაფერი ხელს უწყობს! აი ისინი უნდა იყვნენ სოფლის სამღვდელოთათვის

წასაბაძავნი; ისინი უნდა უჩვენებდენ სოფლის სამღვდელოებას გზას და აძლევდენ მას მაგალითს, რომ მათის წახედვით ისინიც გამხნევდენ. მაგრამ რას ვხედავთ, სამწუხაროდ? ეს დალოცვილები დაფათურებულან და ხელში ჩაუგდიათ ოთხი ანუ ხუთი სხვა-და-სხვა თანამდებობაები; ერთი თანამდებობის ჯამაგირს აღარ დაჯერებულან. მრავალ თანამდებობას, რა საკვირველია, მრავალი შრომა ჭირდება. დილიდამ საღამომდისინ ამ თანამდებობაების აღსრულებას უნდებიან, ღამე უძილრად ვერ დადგებიან და ხალხის მოძღვრება და ქადაგების სიტყვების წარმოთქმა სრულებით დატოვებული აქვსთ და არაფერს არ ფიქრობენ მასზედ. რასაკვირველია, თითო ორ-ორი მღვდელი დიდ ქალაქებში მოიძებნებიან, რომელნიც რიგიანად უქადაგებენ მრევლთა, მაგრამ, ვიმეორებთ, ამათი ნაყოფი ძლიერ მცირეა და შეუმჩნეველი. ჩვენ ვიცით ერთი კათედრის სობოროს მღვდელი, რომელიც ორ კიდევ სხვა თანამდებობას ასრულებს და ჯამაგირს იღებს. ერთისა და იმავე პირისათვის ყოვლად შეუძლებელია სობოროს მღვდელობის თანამდებობის და ამავე დროს სხვა თანამდებობაების აღსრულებაც; მაგრამ აი როგორ ასრულებს ის ამ თანამდებობაებს. თავის რიგზე მას ყავს ერთი შტატ გარეთ მღვდელი დაქირავებული მცირე ფასად და თვითონ მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე დაესწრება ხოლმე წირვაზე და დანარჩენ დროს სხვა თანამდებობის აღსრულებას უნდება. თუ მღვდლობის მოვალეობის აღსრულებას მარტო ის შეადგენს, რომ ხან-დის-ხან დიდ დღესასწაულებზე წირვაზე დაესწროს და ზოგიერთი ,,ასამაღლებლები‘‘ წარმოსთქვას, რასაკვირველია, სხვა მოვალეობის აღსრულებასაც შეიძლებს! მაგრამ, ჩვენის აზრით, ისიც დიდი საქმე იქმნება, თუ სობოროს მღვდელმა ერთად ერთი თავის თანამდებობა შეასრულა რიგიანად...

ამისთანა ჩვენი ხალხის და სამღვდელოების სამწუხარო მდგომარეობამ აღძრა ჩვენში სურვილი ჩვენი სასულიერო ორგანის დაარსებისა. ამისათვის ჩვენ ვეცდებით, შეძლებისა დაგვარად, დავეხმაროთ სამღვდელოებას მათი მოვალეობის აღსრულებაზე და ქადაგებითი სიტყვების ხალხში გავრცელებაზე. ყველა ,,მწყემსი‘‘-ს ნომერში ნახავს მკითხველი სამაგალითო ქადაქებითი სიტყვებს და მოძღვრებას, რომელთა წაბაძვით ყველანი ადვილად შეიძლებენ დაარიგონ სამწყსონი თვისნი და მით გაავრცელონ ხალხში სარწმუნოებრივი და კეთილ ზნეობრივი სწავლა და მეცნიერება. მივაქცევთ მკითხველთა ყურადღებას ამ №-ში დაბეჭდილ საქართველოის ექსარხოსის არხიეპისკოპოსის პავლეს მრავალ — მნიშვნელობიან სიტყვას. ამ სიტყვაში ცხადათ და აშკარად არის დახატული ჩვენი ცხოვრების სურათები. ყოველ სამღვდელო პირს შეუძლია ამ სიტყვით საჭირო მასალის შეძენა და ხელმძღვანელობა და ამისთანა სიტყვები ყოველ ნომერში იქნება მოქცეული.

ვისაც ჩვენი ერის კეთილ დღეობა და კეთილ წარმატება სურს, დარწმუნებული ვართ აღგვისუბუქებენ თვისი ნიჭით და სიტყვით იმ მძიმე მოვალეობას, რომლის აღსრულებისათვის ჩვენ განვიზრახეთ ჩვენი ქონების, გონების და სიცოცხლის შეწირვა...

## ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.

ჩვენი სასულიერო ორგანოს დაარსების დროს ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ არავისთვის ხმა არ გაგვეცა ცილის წამებაზე და სხვა-და-სხვა მოგონილ ჭორებზე, ეს გადავწყვიტეთ მიტომ, რომ ვიმედობდით, საზოგადოება თვითონ შეიტყობდა და გაარჩევდა მართალს სიცრუისაგან და ჭორს ნამდვილისაგან. ეხლა, სამწუხაროდ, ვცნობთ, რომ ჩვენმა იმედმა მოგვატყუა. სამწუხაროდ, ვრცელდებიან თან-და-თან იმისთანა კორრესპონდენტები და მწერლები, რომელთაც ჯერეთ კიდევ არ შეუტყვიათ: რა არის სინიდისი და პატიოსნება და რამდენად საჭირონი არიან იგინი ყველა მწერალთა და კორესპონდენტთათვის. ზოგიერთი ამისთანა ვაჟბატონები ისე დახელოვნებულათ და ოსტატურად სწერენ, რომ ძნელად მიხვდებით დაწერილთა სიმართლეს და სიმტყუნეს. აი *ფაკტი*. გამოვიდა ბ. ბოსლეველი და გამოაცხადა საქვეყნოდ: ,,ჩვენ შევიტყვეთ, რომ გამოდის გაზეთი ,,მწყემსი‘‘, რომლის დანიშნულება და მიზანი იქმნება ისა, რომ ,,დროების‘‘ და ,,შრომის‘‘ მავნე აზრები სდევნოს.‘‘ გამოვიდა შემდეგ ამისა ბ. მანელი და გამოაცხადა: ,,რასაც ამბობდა ბ. ბოსლეველი ყველაფერი მართალი იყო და, გაქვთ ღვთის წყალობა, მის რედაკტორს ბ. ბოსლეველმა..... (გვრცხვენია იმ სიტყვის ხმარება, რომელსაც ბ. მანელი ხმარობდა ,,შრომაში.‘‘) გამობრძანდა ,,დროებაში‘‘ ბ. გარეშე მაყურებელი და გამოაცხადა: ,,რასაც ამბობდენ და სწერდენ ,,მწყემსის‘‘ გაზეთზე, სწორეთ მართალს ამბობდენ.‘‘ რა იცის მკითხველმა, თუ ,,მანელი,‘‘ ,,ბოსლეველი,‘‘ ,,გარეშე მაყურებელი‘‘ და სხვა-და-სხვა ,,ელები‘‘ ერთი და იგივე პირია და, სხვა რომ არავინ ეთანხმება მის როშვას, სხვა-და-სხვა პსევდონიმებით უმტკიცებს თავის ხეპრულ აზრს მკითხველ საზოგადოებას! სხვა რომ არავინ აქებს მის ნამდვილ ვინაობას, თვითონვე იქებს თავს გამოგონებული პსევდონიმის სახელებით. ამისთანა პირების ნაწერები რამდენად უნდა იყვნენ სინიდისით შეკაზმულნი, ყველა ცხადათ მიხვდება. აი სწორეთ ამისთანა მწერლების ენაზე შეიძლება სთქვას კაცმა მოციქულის სიტყვისა-მებრ, რომ ,,ენა კაცთა გერვის ხელეწიფების დამწყსად; დაუპყრობელი ბოროტი; სავსე გესლითა მაკჳდინებელითა.‘‘

რამდენიც უნდა იქადაგონ და სწერონ წინაალმდეგ ბეჭვდითი სიტყვისა, ვერასოდეს მათ სარგებლობას და სიკეთეს ვერ დაფარვენ. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ გაზეთების წყალობით მრავალი ბოროტ-მოქმედება და საზოგადოების შეწუხება გამოაშკარავებულა. მრავალთა პირთა ათას ნაირ ულვთო განზრახვის აღსრულებას ხელს უშლის ბეჭვდითი სიტყვა. მაგრამ რამდენია ისეთი უსუსური კორესპონდენტები, რომელთაც კალამი აუღიათ ხელში არა სიმართლის დასაცველად, არა გაჭირებულთა საშველად, არამედ თავისი უწმინდური აზრების და სხვა უმსგავსო სურვილის აღსასრულებლად. სამწუხაროდ, ხშირად ამისთანა უსუსური კორესპონდენტები და მწერლები, რომელთაც ჯერეთ დედის რძე არ შეშრობიათ ტუჩებზე, რომელთაც ჯერეთ ცხოვრების არაფერი გაუგიათ, სამღვდელო წოდებას და მათ მოქმედებას მივარდებიან და აუგებენ! ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთი გაზეთები ხანდის-ხან არ აძლევენ პასუხის-გების და თავის გამართლების ნებას იმ პირთა, რომელთაც ამისთანა მწერლები შეეხებიან. ნუ თუ გაზეთს მოაკლდება ღირსება და პატივი ამისთანა მწერლების ნაწერების გამტყუნებით? სრულებით არა. რიგი და სამართალია, რომ რედაკტორებმა კარგად მოიფიქრონ ამაზე; წინდაწინვე გამოაცხადონ ზოგიერთი საზოგადოებისათვის საჭირო პირობანი...

მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს ზოგიერთი რედაკტორების საქციელი და მათგან დიდის დარწმუნებით მიღება და ბეჭვდა თავიანთ გაზეთებში ყოველ გვარი ჭორებისა. არაფერს იტყვის კიდევ კაცი, რომ მარტო ერთ გაზეთში რჩებოდეს ეს გამოგონებული ამბავები; ერთი გაზეთიდამ სხვა გაზეთებში გადააქვსთ და ამ ნაირად ყველა გაზეთებში კითხულობთ ერთსა და იმავე სიცრუეს. მოხდება ხანდის-ხან, რომ შენ გაამტყუნებ უსაფუძვლო შეწამებულ ბრალს და ერთი გაზეთის მკითხველთან თავს მართლულობ, მაგრამ სხვა გაზეთების მკითხველების თვალში გაუმართლებელი რჩებით, რადგან ამ შენ გამართლებას არ ბეჭდავენ ის გაზეთები, რომელთაც გადაბეჭდეს შენზე რაიმე ცილის-წამება. აი ამის დამამტკიცებელი ფაკტი. „დროების“ მე 40 №-ში ეწერა შემდეგი შენიშვნა: „ს. წევიდამ (შორაპნის მაზრა) გვწერენ: აგერ ერთი წელიწადი გადის, რაც ჩვენ, ს. წევის წმ. გიორგის ეკკლესიის მრევლთაგან ზოგიერთებმა თხოვნა მივართვით ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს შესახებ „მოხერხებული“ ვაჭრობისა ამავე ეკკლესიის სამრევლო მამულებზედ, რომელიც მოეხდინა, ჩვენდა გაუგებლად, მ. მ—ლ—ძეს და ვიღაცა კერძო პირისათვის გადაეცა მთლად მამული ძალიან დამცირებულ ფასად და სხვა“...

ამ გამოგონებულ ამბავის შესახებ ადგილობითი მღ. ლ მაღრაძისაგან გამოგზავნილი პასუხი იყო დაბეჭდილი „მწყემსის“ მე № 5-ში, რომლითაც აშკარად მტკიცდებოდა, როგორც ამ ამბის ისე სხვა ამგვარ ამბავთა გამოგონება. მასთან მღ. მ—ძე სთხოვდა „დროების“ რედაქციას გადაებეჭდა თავის გაზეთში და გამოეყვანა „დროების“ მკითხველები შეცდომისაგან, მაგრამ „დროების“ რედაქციამ, არ ვიცით რისთვის, ეს არ აღასრულა. დღეს ეს ცრუ ამბავი იბეჭდება რუსულ პეტერბურღის გაზეთებში და ყველა მკითხველები გაკვირებაში არიან, და ნამდვილად ერწმუნებიან, რადგან პასუხის გამცემი ვითომ აღარავინ აღმოჩნდა.

მივაქცევ კიდევ ყურადღებას „დროების“ მე № 40-ში დაბეჭდილ ერთ ახირებულ ამბავზე. აი ეს ამბავი:

„მისს ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს მიუწერია ცირკულიარით ბლაღოჩინებისათვის, რომ ყოველს კრებულს საქართველოს საექსარხოსოში გამოაწერინონ გაზეთი „მწყემსი“ ან თითონ კრებულის ხარჯზე, ან თუ კრებულს არ ექნება შეძლება, ეკკლესიის ხარჯზე. თუ, ვინიცობაა, ვერც კრებული შეიძლებს, ვერც ეკკლესია ამ გაზეთის გამოწერას, მაშინ თითონ ექსარხოსს უნდა აცნობონ პირველს მარტამდე მიზეზი გამოუწერლობისა.“

ამ ამბის წამკითხველი ჩვენზე და ჩვენს ორგანოზე ცუდ აზრს აიღებს. როდესაც თხოვნა შევიტანეთ გაზეთის გამოცემის ნება-დართვაზე, მაშინვე განვაცხადეთ, რომ ჩვენ არასოდეს არ ვითხოვთ ჩვენი გამოცემა ვალდებულებით გამოსაწერად გაუხადონ როდესმე მღვდელთა, ან ეკკლესიათა; ეს ცხადათ სჩანს იმ უქაზიდამ, რომლითაც ნება მივიღეთ გაზეთის გამოცემისა. იმედია, ჩვენზე უსაფუძვლო ეჭვი არავინ უნდა აიღოს ამის შემდეგ. საქართველოს ექსარხოსს ამისთანა განკარგულება სრულებით არ მოუხდენია საექსარხოსოში. საქართველოს საექსარხოსოს შეადგენენ იმერეთის, მინგრელიის, გურიის, აფხაზეთის, სვანეთის და ოსეთის სამღვდელოებანი. ამ სამღვდელოებაშიდ არავითარი განკარგულება არ მომხდარა „მწყემსის“ გამოწერაზე. ჩვენ ძლიერ გვიკვირს რამ აიძულა ამ შენიშვნის ავტორი და საიდან შეთხზო ეს განკკარგულება. ნამდვილ კი ასე იყო, როგორც შევიტცვეთ: თავის ეპარხიის ქართველ მღვდლებს გამოუცხადა სასულიერო ორგანის „მწყემსის“ გამოსვლა; ის სთვლის ამ ორგანოს სასარგებლოდ ქართველ მღვდელთათვის და წინადადება მისცა, რომ გამოიწერონ ის და ისარგებლონ; თუ მოსურნეთა მღვდელთა უფულობა აბრკოლებდეს, ნებას აძლევს ეკკლესიის საშუალებით გამოიწერონ. ამ განკარგულების შემდეგ ქართლის ეპარხიიდამ „მწყემსს“ მოემატა ორმოცდა ათი ხელის მომწერლები. ცირკულიარი ბლაღოჩინებზე სრულებით არ ყოფილა...

ჩვენ ხელში გვაქვს ერთი მღვდელ-მთავრის ძველი მიწერილობა, რომლითაც მღვდელ-მთავარი სამღვდელოებას ურჩევდა „დროების“ გამოწერას, მაგრამ ბრძანებათ ჩვენ ამას არასოდეს არ ჩავსთვლით...

ჩვენ წინათვე დაიმედებული ვიყავით სამღვდელოების და საზოგადოების თანაგრძნობაზე და მართლადაც არ მოვსტყუვდით ჩვენ აზრში. ამის შემდეგაც ჩვენ იმედი გვაქვს საზოგადოების თანაგრძნობისა...

ვსთხოვთ „დროების“ და „კავკაზის“ რედაქციებს გადაასწორონ ეს შეცდომით დაბეჭდილი ამბავი და გამოიყვანონ მათი მკითხველნი შეცთომიდამ.

ყველა, რაც ვსთქვით, გვათქმევინა სიმართლის და ჭეშმარიტების აღდგინების მოვალეობამ. ამ სიტყვების თქმის დროს ჩვენ არ გვაქვს სახეში მარტო ადგილობრივი ქართულ ჟურნალ-გაზეთები, მათ კორესპონდენტები და მწერლები. ჩვენში ნიადაგ დარჩება ის პატივი და იმედი ქართულ ჟურნალ-გაზეთთა და მათ ღირსეულ მწერალთადმი, რაც დღემდის გვქონდა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სიმართლის და ჭეშმარიტების აღდგინების შესახებ წერა და ლაპარაკი არ გამოიწვევს უსაფუძვლო პოლემიკურ უსარგებლო წერას და ბჭობას. ყოველ შეცთომის გასწორებას ჩვენის მხრითაც დიდის კმაყოფილებით მივიღებთ; მაგრამ უსაფუძვლო ცილის-წამების და ჭირდვის ნებას არავის მივსცემთ.

## შენიშვნა.

შემთხვევამ მომცა მიზეზი, რომ ჩვენი „მწყემსის" მკითხველნი დავაკვირვო სხვა-და-სხვა დროს დაბეჭდილ დავითნებშიდ ერთ შემოპარულ საყურადღებო შეცთომას. დავითნების მეთოთხმეტე კანონის ႰႠ ფსალმუნის მეექვსე მუხლშიდ დაბეჭდილია „ვემზგავსე მე ვერხუსა მას უდაბნოსასა და ვიქმენი ვითარცა ბუნატამალსა." აქ სიტყვა „ვერხუი" კი არა „ვარხვი" უნდა იყვეს. ვერხუი უბრალო ველის უნაყოფო ხეა და ვარხვი კი, როგორც ამბობენ წმიდა იერონიმე, აგვისტინე და ისიდორე, არის ისეთი ფრინველი, რომელიც თავის გვამიდგან გამოშვებული სისხლით ჰკურნებს თავის ბარტყებს გველისა და სხვა-და-სხვა შხამიან მწერების ნაკბენებისაგან და ცხოვრებს ეგვიპტის მდინარის ნილის არე-მარეში ამისათვის დიდი განსხვავება არის ამ ადგილას ვერხვის და ვარხვის მნიშვნელობაშიდ. ვარხვში ე. ი., იმ ფრინველში, რომელიც თავის სისხლით იხსნის ბარტყებს სიკვდილისაგან უნდა ვიგულისხმოთ სიმბოლოდ იესო ქრისტე, რომელმანც თავისი სისხლით დაიხსნა ერი თვისი. რადგან სამღრთო წერილის სიტყვებს არ შეიძლება მოემატოს, ან მოაკლდეს რამე, საჭიროა იქმნეს მიღებული ზომები კორექტურის დაჭერის დროს, და ნამეტან თვალ-ყურს უნდა ადევნებდნენ შეცდომების გასწორებას. იმედია, ვისიც რიგია, დაეხმარება და სიტყვა—„ვერხუი," მოხსენებული ფსალმუნებშიდ, იქმნება გასწორებული და მიიღებს თავის დაკარგულ სწორე სახელწოდებას და ღირსებას და ეს შეცთომა არ მოხდება შემდეგ გამოცემაში. *)

მღვდელი ნ. ფრუიძე.

## წერილები რედაქტორთან.

### I.

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ამ ჩემ წერილს ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ „მწყემსში". „მწყემსის" მე № 4-ში იყო დაბეჭდილი ახალციხიდან გამოგზავნილი ანონიმნი ავტორის შემდეგი შენიშვნა: „პატივი მაქვს თქვენის პატივცემული გაზეთის „მწყემსის" საშუალებითა ვაცნობო ახალციხის ბლაღოჩინს მ. გრ. დავიდოვს, რათა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს იმ ურიგო სომხების საქციელს, რომელთაგან ახალციხეში და მის მაზრაში მცხოვრებ ქართველთ დიდი დაბრკოლება ეძლევათ საფარის ღვთის-მშობლის ტაძარში, ღამის თევის დროს. აქ ყოველ წლივ საშინელი ჩხუბი იმართება ხოლმე სომეხთ და ქართველთ შორის. ამ ჩხუბს მრავალჯერ ხანჯლის ტრიალიც მოჰყვება"... ბოლოს, უცნობი ავტორი, დარიგებას გვაძლევს: მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება ამ უწესოების მოსპობას და დავანიშვნინოთ ხოლმე, ვისგანაც რიგია, ჩაფრები, ანუ გზირები მშვიდობიანობის დასაცველად.

გულითად მადლობას განუცხადებთ პატივცემულ ავტორს რწმუნებულ ჩემდამო ეკკლესიის კეთილ წარმატების თანაგრძნობისათვის; ამასთანავე დიდად ვსწუხარ, რომ ბ. ავტორს აქამდინ არ შეუტყვია, რომ მე შარშანვე **1883** წელსა აგვისტოს **4**-სა, **№ 153**-თა მივიქეცი ოფიციალურის ქაღალდით ბ. ახალციხის მაზრის მმართველთან, რომელსაც ვთხოვდი, რომ დაენიშნა ჩაფრები მშვიდობიანობის დასაცველად საფარის ეკკლესიის და ვარძიის მონასტრის დღეობაზე **15**-ს აგვისტოს, რადგანაც ამ დღესასწაულზე ხალხის სიმრავლისა გამო მართლა მოხდება ხოლმე ხან-დის-ხან შფოთი. კეთილ-სულიერმა და ყოვლად პატივცემულმა ბ. ახალციხის მაზრის მმართველმა, რომელიც ფრიად მოყვარულია მშვიდობიანობისა და ცდილობს, რომ რწმუნებულ მისდამი მაზრაში მშვიდობიანობა სუფევდეს, მიაქცია ყურადღება ჩემს თხოვნას და დანიშნა, როგორც საფარის ეკკლესიის, ისე ვარძიის მონასტრის დღეობაზე მშვიდობიანობის დასაცველად ჩაფრებიც, გზირებიც და ჩინოვნიკიც თვალყურის სადევნელად. ამისა გამო, როგორც საფარაში ისე ვარძიაში, ამ ეკკლესიების დღეობას წარსულს **1883** წელსა არა ვითარი უწესოება არ მომხდარა, და პატივცემული ავტორი ტყუილათ შიშობს.

ახალციხის ბლაღოჩინი, მღვდელი გრიგორი დავიდოვი.

### II.

ბ. რედაქტორო!

ამ წლის „დროების" მე **№ 41**-ში, შინაურ ქრონიკის განყოფილებაში იყო დაბეჭდილი შემდეგი ამბავი: „ერთი სასულიერო პირისაგან ლოცვების სწავლა

*) ამისთანა შეცდომები სხვაც ბევრია, რომელთაც ჩვენ შემდეგ №№ მოვიხსენებთ.

რედაქტორი.

ითხოვება ქორწინებაში შემავალ პირთაგან და ამასთან ოთხ-ხუთ გვარი მოწმობაები, რომელთათვის სამ-სამ აბაზიანი მარკები ითხოვება.“ ამასთან სამღურავს აცხადებდა სამღვდელოებაზე, რატომ ვერ მოახერხესო, რომ ერთ მოწმობაში იყოს ყველა ცნობები მოყვანილიო. მოკლე ლოცვების სწავლის მოთხოვა მარტო იმერეთის ეპარხიაში კი არ არის შემოღებული, არამედ მთელ რუსეთის იმპერიაში; ერთი ვილაცა სასულიერო პირისაგან კი არ არის შემოღებული, არამედ სინოდისაგან და ძველი დროიდამ. სხვა-და-სხვა ცნობები სასიძოზე ითხოვება მარტვა და სასძლოზე არასოდეს, რადგან ისინი გვირგვინ მაკურთხეველ მღვდელთა სამრევლოთაგანნი არიან. ჩვენ დიდი ხანია გამოგონებული გვაქვს ერთი მოწმობა, რომელშიაც ყველა ცნობები არის მოყვანილი სასიძოზე, მაგრამ ამ ამბის დამწერს არ გაუგია ჯერეთ. მამასახლისის მოწმობაების მოთხოვა ჩვენ სამღვდელოებას არასოდეს არ გამოგვცხადებია და საიდამ მოეჩვენა ამ შენიშვნის დამწერს? არ ვიცით. ვთხოვთ „დროების“ რედაქციას გადაბეჭდოს ეს წერილი თავის გაზეთში სიმართლის აღდგინებისათვის.

იმერელი მღვდელი.

## ისტორიული მასალა.

სახელითა ღვთისათა და ყოვლად წმიდისა ღვთის მშობელისათა მეფეთა ჩვენთა იესეიან, დავითიან, ბაგრატიონ, ზეგარდამო ცხებული ღვთივ-გვირგვინოსანი და ორთავე ტახტთა მსხდომარე მეფეთა მეფე რანთა, კახთა, სვანთა, ბერძენთა, სომეხთა, მეგრელთა, ქართველთა, ჯიქთა, აფხაზთა, ალანთა, შარვანთა და შარვაშინთა, ლიხთა, მელისა და აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა და ყოვლისა საქართველოისა მეფეთ მეფემან და ამათმან მპყრობელ-მჭირველმან პირველ დასაბამიდგან ვიდრე უკუნისამდე შეუცვალებელი და ხელმწიფობითა დამტკიცებული წიგნი ესე სიგელისა დაგიწერინეთ იადგარ ესე რომე ჩვენის დარბაზის წინაშე შემეხვეწეთ მოდით და ვისმინეთ თქვენი შეხვეწა და გაგიჩინეთ სისხლი. პირველ ძეობისაგან მეფისა ნამსახური ვახტანგისა და ერთგულ ყოფა ზურალი ძენი ჩარაჩუ და მისი შვილები და მომავალი და გამოვიდა ხასნი აზნაურისა შვილი გარე მოსახლე კაცითა შიგნითა ყმითა ეკკლესიისა კარითა საფლავითა ცხენითა და ცხენის საომრითა იარაღითა ჯაჭვითა და მუზარადითა ქორითა და ბაზიერითა ტყითა და სათევზოთა, მიწითა, წყლითა, სძიებითა და უძიებრითა მისითა ყოვლისთურითა ზურაძე ჩარაჩუ და მისი შვილი და გაუჩინეთ სრული სისხლი ხუთი ათასი ძველი თეთრი და ეურვოდეს. სანახშირედ თუთხმეტი ათასი ძველი თეთრი. თუ ვინმე ცოლი გაუპატიუროს სრული სისხლი დაგიურვოს თუ ვინმემ ან ქალი დაგიგდოს ან ორსულს დედაკაცს გიცეს და შვილი მოაგდოს სრული სისხლი იურვოს, თუ ვინმე გურული ძის გვარი კაცი მოკლას სრული სისხლი დაგიუროს, თუ ვინმე ამათგან ერთი დაგაკლოს სრული სისხლი დაგიუროს თუ ვინმე სახლში მიუხთეს, ან დაგიწვას, ან აგიალაფოს სრული სისხლი დაგიუროს თუ ვინმე გრძნეულება შემოგწამოს და მართალი დარჩე სისხლის ნახევარი დაგიურვოს თუ ვინმე ჯოგი წაგისხას ან მეჯოგეს გიცეს თორმეტი ათასი თეთრი და გიურვოს. თუ ვინმე მესადილე გაგიცალიეროს ან გიცეს ხუთი ათასი თეთრი და გიურვოს და მართალი დარჩე სისხლის ნახევარი და გიურვოს. თუ ვინმე ზურალიძის გვარის კაცს სცეს, ანუ მჯილით, ან მათრახით, ან ქუსლით, ან არგნით სისხლის ნახევარი დაგიურვოს. აწე რაცა ამას ზემო სწერია თუ რამე საქმე მოხთეს დაიჯერეთ მართლისა სიმართლისა გამგეო პირველ ჯარი დასხედით და ეს სიგელი გამოიღეთ და ამავე წესითა და საქმითა დაეურვებოდეს სისხლი და აწ ქრისტეს მიერ კურთხევითა აფხაზეთისა ქართლისა კათალიკოზნო თქვენცა აგრე დაუმტკიცენით ჯერითა და კურთხევითა. მამა ჭყონდიდელო თქვენცა აგრე დაუმტკიცენით თქვენგნითა ჯერითა და კურთხევითა დრანდელ მოციქულო თქვენცა დაუმტკიცენით თქვენგნითა ჯერითა და კურთხევითა ცაიშიერ ხოფის თქვენცა აგრე დაუმტკიცენით თქვენითა ჯერითა და კურთხევითა ან რაც ამ ზემო სწერია რამე აწი ამისა მოწამენი არიან თავათ ღმერთი და კაცთაგან ამერეჯიბი აფაქიძე ციხის თავი და ერისთავი და ციხე ქალაქთა მოლაბრჯრე მოსართო უხუცესი და პურის ხარჯისა მომერთმელ აწ დაიწერა სიგელი ესე მეფეთა მეფის ვახტანგ მესამეობის დროს. ქორონიკონი ას ოცდა ხუთი.

## სხვა და სხვა ამბები და შენიშვნები.

14 თებერვალს ქ. ქუთაისში აკურთხეს ახლად გახსნილი სახელოსნო გამგეობა. კურთხევაზედ დაესწრნენ, გარდა მოხელეთაგან აღმორჩეულ უსტაბაშებისა, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი თავის ამალით, ყოვლად სამღვდელო Иმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, ქალაქის თავი და სხვანი წარჩინებულნი სამხედრო და სამოქალაქო პირნი. მინამ ყოვლად სამღვდელო გაბრიელი სახელოსნო გამგეობის კურთხევას შეუდგებოდა, იქ მყოფ უსტაბაშებს და ხელოსანთა თავს უთხრა მოკლე მგრძნობიარე სიტყვა, რომელსაც მკითხველი წაიკითხავს დღეის „მწყემსის“ ნომერში.

***

Хარკოვის ეპარხიის მღვდელ-მთავარმა გამოუცხადა სამღვდელოებას შემდეგი განკარგულება: „მე არა მაქვს ჩვეულება თან წავიყვანო კრებული მგალობლებითურთ, როდესაც ეპარხიაში შემხვდება მოგზაურობა რევიზიის დროს. რადგან ხშირად შემხვდება ხოლმე ეპარხიაში წირვა, ამიტომ ვალად დაუდგენ თითო საბლაღოჩინო მაზრის მედავითნეთა რათა შეიკრიბონ და შეისწავლონ მთელი არქიერის წირვის გალობა, რომ მათ შეიძლონ გალობა ჩემს წირვაზე. ამ გალობაში შეიძლება მოწვეულ იქმნენ ერის კაცებიც. ამისათვის ვალად უდგენ მედავითნეებს, რათა შეიკრიბონ და იგალობონ ხოლმე და, ჩემს მოგზაურობის დროს დაბარებაზე გამოცხადდენ.“ რუსული არქიერის წირვის გალობა, რასაკვირველია, ჩვენში მედავითნეთაგან მოუხერხებელია, მაგრამ ქართული გალობის ასრულება, იმისთანა გალობისა, როგორსაც ამბობენ ჩვენში მღვდელ-მთავრის წირვაზე, არა თუ პრიჩეტნიკებისაგან არამედ სოფლის კაცებისაგანაც ადვილი მოსახერხებელია. რასაკვირველია, იმერეთში ბ. ნ. მეძმარაშვილის მაგიერობას კი ვერავინ გასწევს, მაგრამ ის ყოველთვის არ ესწრება სოფლებში. ყველა პრიჩეტნიკს, ვინც გამოიცდება ხოლმე განწესების დროს, უწერენ: „კილოზე გალობსო“; თუ კილოზე გალობენ, რატომ ვერ უნდა იგალობონ ეპისკოპოსის წირვაზედაც, რადგან ძლიერ ცოტა რამეთი განსხვავდება არქიერის წირვის გალობა.

***

Чვენ შევიტყვეთ, რომ ქუთაისის გუბერნატორთან მისულა ერთი გლეხი კაცი საჩივლელად, რომ დრამის ფულის გარდახდა მას არ შეუძლია, ისე როგორც სხვები იხდიანო. როგორც ამბობენ, გუბერნატორს მიუწერია მაზრის უმფროსისათვის, რომ ყრილობამ შეხედვისამებრ გლეხების შეძლებათა გასწეროს დრამის ფული გლეხებზე. Тუ ეს მართალია, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სულ ბოლო მოეღება მღვდლის სარჩოს კრებას და ეს განკარგულება გამოიწვევს სამწუხარო ბოლოს.

***

Чვავილის ავათმყოფობა თან-და-თან ვრცელდება ხალხში. შორაპნის მაზრის მღვდლებისაგან მოგვდის სამდურავი, რომ ამცრელები არ დადიან საზოგადოებაშიო. მთელს შორაპნის მაზრაში ორი ფელდშერი და ორი ვაქსინატორი არის და, რასაკვირველია, ოთხი კაცი ვერას გახდება, თუ მართებლობამ არ მოუმატა ვაქსინატორების რიცხვს. ამ მაზრაში შვიდი ვაქსინატორი იყო. ყველანი დაითხოვეს ორს გარდა და ავათმყოფობის გავრცელებამდისინ აზრშიდაც არავის მოსვლია რომ სოფლებში ვაქსინატორები გაეგზავნათ და აეცრათ დროზე...

***

Rინეთ ხშირად გვესმოდა ხოლმე სემინარიის შაგირდებისაგან სამდურავი თავიანთ რექტორებზე, მაგრამ ეხლა ამისთანა სამდურავის გაგონება აღარ ისმის. ბევრი სემინარიის შაგირდები შეგვხდა ამ ცოტა ხანში ჩვენ, მაგრამ, სასიხარულოდ ჩვენდა, ერთი შაგირდი არ გვინახავს ეხლანდელი რექტორის მომდურავი. ყველანი ერთ ხმათ განაცხადებენ, რომ ეხლანდელი რექტორი, დეკანოზი პავლე ჩუდეცკი მათთვის არის არა მარტო რექტორი, არამედ მზრუნველი მამა მათი სიკეთისათვის და Uმერთსა სთხოვენ მის დღეგრძელობას. დარწმუნებული ვართ, რომ სამღვდელოება ამაზედ უსიამოვნეს ამბავს ვერ გაიგონებს. სრული იმედი გვაქვს დეკანოზის პავლე ჩუდეცკისაგან, რომ ის, როგორც თვთ სამღვდელოთაგანი, აღზრდის მათ რიგიანად მათი დანიშნულებისამებრ და გააღვიძებს მათში იმისთანა ცხოვრების სიყვარულს და ხასიათს, როგორიც საჭიროა ყველა სამღვდელო პირთათვის. ჩვენ ვიცით, რომ ბევრი რამ უშლის ხელს ეხლანდელ დროში რიგიანად შვილების აღზრდას, მაგრამ, იმედია, რომ მ. რექტორი მიიღებს შესაფერ ზომებს და ქართველ ხალხს მოუმზადებს ქართველ მღვდლებსავე.

## ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა.

რუსულ სასულიერო ჟურნალის ფებერვლის თვის „სტრანნიკ"-ში ვკითხულობთ შემდეგ ამბავს: „ორლოვის ეპარხიის მეორე სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების დეპუტატებს ჰქონდათ სხდომა სასწავლებლის შესახებ საქმეებზედ. კრებამ, სხვათა შორის განიხილა რა ხარჯის აღრიცხვა (СМѢТА), ნახა, რომ მოსამზადებელის პარალელნი კლასების მასწავლებელთა გაკვეთილებისათვის ჯამაგირებად ჰქონდათ დანიშნული თითო გაკვეთილზე სამოცი მან. აკადემიაში კურს შესრულებულთა და სემინარიაში კურს შესრულებულთა კი—სამი თუმანი. ყრილობამ ერთხმად გადასწყვიტა დანიშვნა ამ კლასებში ოცდა ათი მანეთის ჯამაგირისა მასწავლებელთათვის, იმ მიზეზისათვის, რომ შაგირდები აკადემიელ მასწავლებელთაგან უფრო სუსტად არიან მომზადებულნიო, ვინემ სემინარიელებისაგანაო, რომელთაც მართებლობისაგან ჯამაგირად აქვთ დანიშნული მარტო სამი თუმანი. თუ აკადემიელები არ ისურვებენ სამ თუმნად აძლიონ თითო გაკვეთილი და თავს დაანებებენ სწავლებას, მაშინ თვითონ სამღვდელოება იშოვის მათ მაგიერ სხვა მასწავლებელთა, რომელნიც სიხარულით დათანხმდებიან სამ თუმნად აძლიონ თითო გაკვეთილი. ამ ჟურნალზე მღვდელ-მთავრის შემდეგი რეზოლიუცია არის დასმული: ყრილობა გადასულია თავის მოქმედებით იმ უფლებაზე, რომელიც მას აქვს მინიჭებული, — მან შეადგინა გაჩინება არა თანახმად მე (§) 15 და 51 სასწავლებლის წესდების პარაგრაფთა და უწმიდესი სინოდის გაჩინებისა 23 აპრილის—7 მაისის 1881 წლისა. დამატებითი შენიშვნა მე (§) 68 სასწავლებლის წესდებისა ამბობს, რომ სასწავლებლის წესდებით დანიშნულ ჯამაგირზე სამღვდელოებას შეუძლია მოუმატოს, მაგრამ ის კი არსად არ სწერია, რომ მას შეეძლოს ამ ჯამაგირის მოკლება. ამისათვის ხარჯზე მოკლებული ჯამაგირის ფულები ისევ იქმნეს შეყვანილი-სმეტაში."

რასაკვირველია, სემინარიელსა და აკადემიელს შორის სწავლის შესახებ დიდი გარჩევა უნდა იყოს და მეტი ჯამაგირის უკანასკნელთაგან ალება სემინარიელებზე უკანონობა არ არის, მაგრამ რა უნდა სთქვას კაცმა, თუ აკადემიელი იმ აზრით კი არ წასულა აკადემიაში, რომ სწავლა შეიძინოს და სასარგებლოდ ემსახუროს საზოგადოებას, არამედ მისთვის, რომ დიპლომი როგორმე მოიპოვოს, კარგი ადგილი იშოვოს, დიდი ჯამაგირი აიღოს და კარგად იცხოვროს, როგორც ეს, სამწუხაროდ, კიდეც შენიშნა ამ ბოლოს დროს უწმიდესმა სინოდმა, როგორც სჩანს მისი დადგენილობისაგან გამოცხადებულის თერთმეტ აგვისტოდამ წარსული წლისა.

„დროებაში" ვკითხულობთ შემდეგ ამბავს: „მოსკოვიდამ გვატყობინებენ, რომ ამ ხანებში იქაც გაუმართავთ სტუდენტებს ქართული სამუსიკო საღამო, რომელზედაც მრავალი ხალხი დასწრებია და დიდი თანაგრძნობაც აღმოუჩენია. დამსწრეთა შორის ბევრნი იმისთანანი ერივნენ თურმე, რომელთაც მამა-პაპა საქართველოდამ გადასახლებულა და ახლა მხოლოდ ქართული გვარი-ღა შერჩენიათ. საზოგადოებას უთხოვნია გამგეთათვის, რომ წელიწადში თუ ორჯერ არა, ერთხელ მაინც გაჩვენეთ ხოლმე ამისთანა სიამოვნებაო.

ამ გვარი საღამოები, ცოტა არ იყოს, შეღავათს მისცემენ სამუალების მხრივ ჩვენს ღარიბ სტუდენტებს. ამ ჟამად რუსეთის უნივერსიტეტებში 150-მდე მოსწავლე სტუდენტია და მომეტებული ნაწილი, რასაკვირველია, სიღარიბით მეტად შეწუხებული."

ამავე გაზეთში ვკითხულობთ: „ბ. ალ. ცაგარელი მალე გამოსცემს თურმე თავის მოგზაურობას ცალკე წიგნად. ცაგარელი მოგზაურობდა პალესტინის საზოგადოების მინდობილობით და იყო ათონის მთაზედ, სტამბოლში, პალესტინაში, არაბეთში და სხვ. ხსენებულ ქვეყნებში ბ. ცაგარელს დიაღ ბევრი რამ შესანიშნავი უნახავს ჩვენის ისტორიისათვის, სხვათა შორის, მრავალი სურათები ისტორიულ პირთა იერუსალიმის ქართულ ტაძრებში. ამას გარდა, იმას უნახავს იერუსალიმის ტაძარზედ წარწერა არაბულს ენაზედ, რომლის ძალითაც ტაძარში შემსვლელს ყველასა ჰსდებოდა ხარჯი, ხოლო ქართველებისაგან ხარჯის გამორთმევა სასტიკად აკრძალული იყო. არაბეთში მოგზაურს უნახავს ქართველების უძველესი კოლონია, რომელშიაც ექვსასამდე კომლი ყოფილა და ახლა ყველანი გარდის მოყვანით სცხოვრობენ. ქართული ამ ხალხს არაფერი ეტყობა თურმე გარდა სახელების და ძველი ეკლესიების პატივისცემისა. გარემემო ხალხი ამათ ჯერ კიდევ გურჯებს უძახისო."

აქვე ვკითხულობთ: „კიდევ არ დავჰვიწყებიათ ოსებს თავინთი სამარცხვინო ჩვეულებანი. ამას წინად გორის მაზრის ოსეთის სოფ. ო. მცხოვრებელმა ლ. ჩ—მა დაიწერა ჯვარი თავის უფროსის ძმის ცოლზე (!!!). თუ უკაცრავად არ ვიქნებით, ვკითხავთ ადგილობრივ ბლ—ს, თუ რა გარემოებით მოხდა ეს შემაძრწუნებელი ქორწილი"...

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

## სიტყვა

### მეხუთე დიდ-მარხვის კვირიაკესა. *)

> უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, — სულსა... მთავრობის მოყვარეობისასა ნუ მიმცემ მე (ლოცვისაგან ეფრემ სირელისა).

სული მთავრობის და უფლების მოყვარებისა, რომლის განშორებას ჩვენ ასე გულ-მოდგინედ ვევედრებით წმიდა ორმეოცსა მარხვასა შინა, ისე ღრმათ არის ჩანერგული ჩვენს ცოდვილ სულში, იმისთანა საზოგადო სნეულება კაცობრიობაში, რომ ყველგან და ყველაში შევნიშნავთ მას. ეს ცოდვა სჭირთ არა მარტო უფლების და უმფროსობის მქონეთა პირთა, არა მარტო ჩამომავლობით და განათლებით საუმფროსოდ მომზადებულთა პირთა, არამედ იმათაც, რომელნიც სდგანან უმდაბლეს საზოგადო კაცობრივობის ცხოვრების ხარისხზე. მონანი და მოსამსახურენიც კი ცილობენ ურთიერთ შორის პირველობაზე, ერთი ერთმანეთზე ნამეტანი უფლების მოპოებაზე. მთავრობის მოყვარეობის სული არც იმ პირებშია სრულებით გამქრალი, რომელნიც ზნეობითად ძლიერ მაღლა დგანან; ის ექადება მემარხულეთა და მოღვაწეობასა შინა მყოფთა სულთა დაფლობას. დიდ მოღვაწე ეფრემ სირიელსაც, რომელსაც ეკუთნის ლოცვა „უფალო და მეუფეო,“ ეშინია მთავრობის მოყვარეობისა და ევედრება ღმერთსა, რომ განაშოროს მან მისგან ეს მთავრობის მოყვარეობის სული.

მთავრობის მოყვარეობის სულის ჩანს იქაცა, სადაც ძლივს ინიშნება სულიერი ცხოვრების შუქი. ყრმები, ძლივს გამოსულნი აკვნიდგან და სახვევებიდგან, — ისინიც კი ცდილობენ დაუმორჩილონ თავის ბავშურ ნებას, თავის ჭირვეულებას; მშობელნი, საზოგადოდ მათზე უმფროსნი და სურვობენ, რომ მათი უბრალო სურვილი აღასრულებინონ ყოველთა.

(* თქმულ არს კიშინიევის კათედრის სობოროში 1878 წელსა არხიეპისკოპოსის პავლეს მიერ, აწ საქართველოს ექსარხოსისა.

იმისთანა საზოგადოებაშიაცა, სადაც ყველაფერი ხელს უნდა უწყობდეს და ეხმარებოდეს ხალხთა სიმდაბლის და მორჩილობის სულის მოპოებაში, იქ, სადაც ხალხს თვალ-წინ აქვს უმაღლესი სახე მორჩილებისა, — იქაც სული მთავრობისა მოახერხებს თავი გამოიჩინოს ასე, ანუ ისე. მიაქციეთ ყურადღება დღევანდელ წაკითხულ სახარებას. მშვიდი და მდაბალი სულითა (მათეს 11 ტ. 29 მუხ.), მორჩილ ვიდრე სიკვდილამდე (ფილიპ. 2 თ. 8 მუხ.) იყო მაცხოვარი ჩვენი უფალი იესო ქრისტე: — არა ვითარ ამ ქვეყნის უპირატესობას და დიდებას, არა ვითარ ქვეყნიურ უფლებას არ ეძიებდა იგი; ის სრულებით ერიდებოდა მას. (იოან თ. 15 მუხ.) თუმცა მოვიდა იგი დასაარსებლად ქვეყანაზე მეფობისა, მაგრამ ეს მეფობა, მისი სწავლისამებრ, არ იქმნებოდა მსგავსი ქვეყნიურთა და კაცობრივთა სამეფოთა, რომელშიაც არ შეიძლებოდა წარმოდგენა რაიმე კაცობრიული მთავრობის მოყვარეობისა.

ეს მეფობა იქმნებოდა არა ამა ქვეყნისა; თავისთავის მოყვარეობის დაკმაყოფილებას, ანუ ქვეყნიურ სიხარულს კი არ მოელოდენ ისინი, რომელნიც ისურვებდენ მისი სამეფოს წევრად ყოფნას. არა, სიმდაბლე, თავის მოძულება, ნაკლულევანება, სიყვარული სხვათა — აი, რა ითხოვებოდა ძეთაგან ამა სამეფოსა. ყველა ამას ნიადაგ ახსენებდა იგი თავის მოძღვრებითა, მაგალითითა და თავის ცხოვრებითა... ამისათვის საფიქრებელი იყო, რომ მის მოწაფეთა, — მოციქულებთა შორის იქნებოდა დამკვიდრებული ესე სული — სული სიმდაბლისა და სიმშვიდისა და ვერ მონახავდა მათ გულში ადგილს სული მთავრობის, უფლების მოყვარეობისა... მაგრამ დღევანდელი წაკითხული სახარებიდამ ჩვენ ვხედავთ, რომ ის მოწაფეც, რომელიც უმეტესად უყვარდა იესო ქრისტესა იოანნე, არ იყო განშორებული ამა სულსა. იოანნე დედითურთ და ძმით იაკობითურთ სთხოვენ იესო ქრისტესა, რათამცა მან, როდესცა დაიწყება მისი სამეფო, მიანიჭოს მათ უფლება დასხდნენ ერთი — მარჯვენით მისა, ხოლო მეორე — მარცხენით. ამისთანავე სული — სული მთავრობის მოყვარეობისა გამოაჩინეს სხვა მოციქულთაცა. ათთა მოციქულთა დაიწყეს დრტვინვა ორთა მათ მოციქულთა იოანნე და იაკობზე, — და დრტვინავდენ არა იმისათვის, რომ უყვარდათ სიმართლე და სძულ-

დათ მთავრობის მოყვარეობა, არამედ, ცხადია, დრტვინავდნენ შურისა და უკმაყოფილებისგამო, რომ მათ არ ექნებოდათ უპირატესობა, დიდება და უფლება Ⴈესო Ⴕრისტეს სამეფოსა შინა, თუ Ⴈესო Ⴕრისტე აღასრულებდა იოანნეს და იაკობის თხოვნას. მხოლოთ სული წმიდის გარდამოსვლის შემდეგ განეშორა მათგან სული მთავრობის მოყვარეობისა; მაშინ მხოლოთ განთავისუფლდნენ იგინი ამ საზოგადო ყოველთა კაცთა სულიერ უძლურებთაგან... აი ასე შეთვისებული აქვს ყველა კაცს სული მთავრობის მოყვარეობისა!

Ⴃა ამასთან, ძმანო და დანო, სული მთავრობის, უფლების მოყვარეობისა უმაღლეს ხარისხამდე სულის განმხრწნელია. ის დამღუპავია საზოგადოებისათვის, რომელსა შინა სუფევს იგი, დამღუპველია იმ კაცთა, რომელსაც სჭირს იგი; დამღუპველია უფლებისათვისაცა, რომელზედაცა დამყარებულია წესიერება და საზოგადოების კეთილ-დღეობა.

Ⴑული მთავრობის მოყვარეობისა დამღუპველია მთელი საზოგადოებისა. მართლა, თუ მთელს საზოგადოებაში უფლებს ეს სული, თუ თვითეული წევრი საზოგადოებისა მისწრაფება, რომ დადგეს სხვაზე ზევით, ცდილობს ყოველ ღონის ძიებით იშოვოს უფლება სხვათაზედა; შეუძლებელია ამისთანა საზოგადოებაში იქნეს მშვიდობა, კანონიერი წესი და არ შეიძლება მას შინა დაწყება და გავრცელვება საზოგადოებრივი კეთილისა. წინააღმდეგ სულს მთავრობის მოყვარეობისასა შეაქვს საზოგადოებაში დაღუპვა —უთანხმოება, ყოველნაირი შეუთვისებლობა და უბედურება... ვინც ცდილობს მთავრობას—როგორი გზითაც უნდა იყოს, არ დაეძებს სხვათა სარგებლობას და სიკეთეს, არ დასდევს იმას, რომ იქმნება სხვათა უმეტესად აქვსთ უფლება, უფრო სარგებლობის მოტანა შეეძლოთ, უფრო ღირსეულნი და ნიჭიერნი არიან მასზედ. ის ფიქრობს მარტო თავის თავზე და ხმარობს ყოველივე ღონეს, ოღონდ კი თავის მოწინააღმდეგე, რომელიც გზას ულობავს მას, გასრისოს და ჩაფლას ტალახში. რამდენი ზარალი ეძლევა საზოგადოებას ამისთანა უსამართლობით! უმჯობესნი და ღირსეულნი წევრნი საზოგადოებისანი მოკლებულნი არიან ემსახურონ საზოგადოებას; საზოგადოების ბედი ჩაუარდებათ ხელში უღირსთა და უნიჭოთა პირთა; შეიქნება მტერობა ამისთანა უფლების მქონებელთა პირთა და იმათ შორის, ვინც მოკლებული იყო უფლებას. ყველა საზოგადოების ძალა მიიღებს მრუდე მიმართულებას; აღარავინ ზრუნავს საზოგადო სიკეთისათვის, არამედ ყველა ფიქრობს ქიშპობაზე და მტერობაზე; როგორც გაგრძელდება ამისთანა მდგომარეობა; ისე თან-და-თან ძლიერდება მტერობა და შური. ვინც ასე იშოვნის უფლებას, განა შეუძლია მას, მთავრობის მოყვარეს, გულგრილათ უყუროს საქმეს და ეცადოს საზოგადოების სიკეთისათვის? არა; მას ნიადაგ აწუხებს ის აზრი, და მართალიც არის, რომ მისი მტერები ცდილობენ მის დაღუპვას. და აი იმან იშოვა თუ არა უფლება, ყოველი ღონის ძიებით ცდილობს დამაგრდეს თავის ადგილზე და წინა აღუდგეს თავის ნამდვილ მტერთა და არა კეთილის მოსურნეთა, ხან-დისხან მარტო მოჩვენებულთა. ამისათვის ის ხმარობს სასტიკ ზომებს. ყოველივე საზოგადოების თვით მოქმედებაში და უფლების გამოცხადებაში ის ხედავს თავის უფლებაების დარღვევას და დაუმორჩილებლობას და ცდილობს ყოველი ზომით დასთრგუნოს საზოგადოების ამისთანა ბუნებრივი თვით მოქმედება. კვალადვე უფლების ძალა და ძალა სხვა მოქმედთა გაიყრებიან და იბრძვიან არა საზოგადო სიკეთისათვის, არამედ მის სავნებელად. შემდეგ, ვსთქვათ, უფლების მოყვარემ მოახერხა ასე თუ ისე დამკვიდრება თავის ადგილზე. რა ბოლო ექნება მას? შემდეგ დროშიაც განა მთავრობის მოყვარე ეცდება საზოგადო სიკეთისათვის? ის იმისთვის კი არ ცდილობდა ეშოვა უმფროსობა, რომ საზოგადო საქმეს მსახურებოდა, —არამედ კერძო თავის სარგებლობისათვის. შემდეგისათვის ის გრძნობს, რომ მისი უფლება არ არის მრავალთათვის სასიამოვნო და მისი მდგომარეობა მტკიცე და საბოლოვო; ამისათვის ის ცდილობს, რომ უზრუნველ ჰყოს თავისი მდგომარეობა შემდეგი დროისათვის ქვეყნიერითა კეთილითა, რომელიც ჯერ კიდევ მის ხელსა და უფლების ქვეშ არის, ვიდრემდის მას კიდევ დრო და ჟამი აქვს და ხელს უწყობს... და ამ დროს მის მოქმედებას, რასაკვირველია, სარგებლობის მაგიერ მოაქვს საშიშარი ვნება, ცარცვა. ამისთანა მოქმედებით მთავრობის—მოყვარე თვითონ მოამზადებს თავის დაცემას თავის წინააღმდეგი მოქმედებაებით, აძლევს საშუალებას და ღონეს წინააღმდეგ მხარეს მის დასამხობათ და მოსაშორებლათ. მტრე-

ბი ცდილობენ გააქრონ, შემუსრონ წინააღმდეგი მთავრობის—მოყვარე. დაიწყება ამის და საზოგადოების წევრთა შორის ჩხუბი და ქიშპობა, არა ჭეშმარიტების აღდგინებისათვის, არა საზოგადოების სასარგებლოდ და სხვა-და სხვა საზოგადოების კითხვების შესახებ, არამედ ის ჩხუბი და დავა, რომელიც აღიძვრის წინააღმდეგი განზრახვისათვის მთავრობის მოყვარეთა და ამისათვის მოსდევს ამას დარღვევა და დაშლა საზოგადოების ცხოვრებისა და ეს დაშლა მალეც გამოცხადდება. ამისთანა თავის სარგებლობის ცდის და ქიშპობის დროს საზოგადოების სიკეთის დამცველთა და თვალ-ყურის მდევნელთა აღარ აქვსთ დრო იზრუნონ მასზედა. მთელი სიზოგადოება რჩება უყურადღებოდ, საზოგადო საქმეების მსვლელობა, მოძრაობა მიდიან თავისით. რა ემართა ამისთანა მდგომარეობაში საზოგადოებას? როდესაც შეხედვენ მმართველთა უმოქმედობას, შეხედვენ, რომ იგინი თავის თავზედ ფიქრობენ და არა საზოგადო საქმეზე, საზოგნდოებაში გამოჩნდებიან და შეიქმნებიან უმფროსებად. ფრიად ცუდნი ძალანი, ხალხის უზნეო, უპატიოსნო მცარცველები და მგლეჯლები; ერთი სიტყვით, საზოგადოება, მიღწეული ამ მდგომარეობამდის უფლების მოყვარეობითა, მალე იღუპება, მალე ეცემა. აი როგორ დაღუპვამდის მიიყვანს საზოგადოებას სული მთავრობის—მოყვარეობისა.

არა მარტო საზოგადოებას ღუპავს სული მთავრობის და უფლების მოყვარეობისა. ის საშიშარი მავნებელია იმათთვისაც, რომელთაც აქვსთ ამისთანა სული. ის საშიშრათ აფუჭებს იმათ ცხოვრებას, ხდის იმათ ცხოვრებას საწავლებლათ და უბედურათ. შთახედეთ მართლა კაცის სულში, რომელშიაცა დაბუდებულა სული მთავრობის მოყვარეობისა... აი ის ცდილობს შეიქმნეს სხვაზე უმფროსათ და დამკვიდრდეს მასზედა! რამდენი უნდა ეცადოს, რამდენი ქვემძრომობა უნდა გაიაროს, რომ როგორიმე გზით უმფროსად შეიქმნეს, როდესაც ამ უფლებას მიღების ღირსი იგი არ არის; რამდენი სულმდაბლობა და საძაგლობა უნდა ჩაიდინოს, რომ როგორიმე გზით დარჩეს თავის ადგილზე, თუ ზნეობითი ძალა, ღირსება და ნიჭი არ აქვს უფლების დაცვისა? რამდენი სიფიცხე, გაბოროტება უნდა იგრძნოს წინააღმდეგ იმ პირებისა, რომელთაც უყურებს, როგორც მტრებს და მის უმფროსობის შემცილეთა! რამდენი სიმწარე უნდა გამოცადოს მან უფლების შოვის შემდეგაც, როდესაც საზოგადოების სიყვარულს და პატივს ვერ დაიმსახურებს! რამდენი შეწუხება და შიში უნდი გამოცადოს იმის გამო, რომ უფლება არ დაეკარგოს! რამდენი ცილის წამება, ფარისევლობა და საძაგლობა უნდა ჩაიდინოს თავის მტრების, მოცილეთა დასაღუპავათ. როგორი სულიერი წვალება უნდა აიტანოს მან, როდესაც ყოველ ზომის ხმარების შემდეგ მაინც მოაკლდება თავის უფლებას და აღარ ძალუძს დარჩეს მთავრად! უბედური არ არის ამისთანა მთავრობის მოყვარე კაცი, როდესაც ის უმფროსობს და როდესაც მთავრობა ჩამოერთმევა? ჭეშმარიტათ უუბედურესია... ცხოვრება მისი მოუთმენელად მძიმეა, სული მისი ცარიელია. წვრიმალნი, საძაგელნი გრძნობანი აშრობენ უფროსობის მოყვარე კაცის სულსა, აქრობენ მას შინა ყოველსა პატიოსანსა და კეთილ შობილ განზრახვასა: ამაოდ არ ფათურობს უფროსობის მოყვარე, როდესაც ნამეტნავად ცდილობს უმფროსად გახდეს! ეს ლტოლვილება მოუტანს მას უბედურებას და დაღუპვას.

უარესი დამღუპავი შედეგი მოსდევს მთავრობისათვის, როდესაც საზოგადოებაში არსებობს სული მთავრობის მოყვარეობისა — მთავრობისათვის, რომელიც უსაჭიროესი მომქმედი და დამფარველია საზოგადოების ცხოვრებისა... მთავრობა მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტად ძლიერი, როცა იგი კეთილ სინიდისიანი, პატიოსანი და ნიჭიერია, როცა იგი ნიადაგ ზრუნავს თავის ხელქვეშეთ, კეთილ დღეობაზე, როცა ყველა აფასებს მის შრომას, სამსახურს, ყველა პატივსა სცემს მას და სიხარულით და სიყვარულით ემორჩილებიან და ეწევიან მას შეძლებისა და გვარად. ამ შემთხვევაში მას არ ეშინია მტრებისა, არ ეშინია არა ვითარი ცუდი განზრახვისა და ცილის წამებისა. ცილის წამებას შეუძლია ავნოს მას ცოტახანს; შემდეგ იგი ნელნელა თავისით გაჰქრება, როგორც ბურუსი და ჭეშმარიტება გამოაცხადდებს პატიოსან, ნიჭიერ და საყვარელ მთავრობას ყველას თვალის წინ ნამდვილი სახით. მაგრამ, მაშინ კი სულ სხვა არის, როცა მთავრობას არა აქვს ჯეროვანი, შესაფერი ნიჭი; როდესაც იგი განსაკუთრებით ცდილობს არა საზოგადოების კეთილ დღეობისათვის, არამედ თავის პიროვნული სარგებ-

ლობისათვის. მაშინ მთავრობაც სუსტდება და ამისათვის იმას სარგებლობის მაგიერ ვნება მოაქვს საზოგადოებისათვის. ამისთანა შემთხვევაში მთავრობას ყოველ ნაბიჯზე წინ ხვდება: დაუნდობლობა, უპატივცემულობა და ბოლოს სიძულილი. ამ შემთხვევაში ის უფრო სატირალი და სამწუხაროა მისთვის, რომ ამისთანა უპატივცემულება ჰბადავს არა მარტო კერძო უფროსისადმი გულ-გრილობას და სიძულილს, რომელნიც ღირსი არიან ამისთანა შენიშვნისა, არამედ ზოგიერთთა პირთა, არა შორს გამჭვრეტთა და სუსტ მოაზრეთა, ეს ნაკლულევანება გადააქვსთ თვით ნივთზე, თვით უფლების არსებობაზე. ცხადია ყველასთვის მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა.

Ⴋთავრობა არსებობს და მოქმედებს თავისი წარმომადგენელებით. საზოგადოება სჯის მთავრობაზე მისი წარმომადგენელების შეხედვით. რამდენი უბედურება და ბოროტება იჩენს თავს იქ, საცა საზოგადოებაში მთავრობის სიყვარული და პატივისცემა აღარ არიან მთავრობის წარმომადგენელის წყალობით. ამ უბედურებათა და ბოროტებათა ჩამოთვლა არც კი შეიძლება. იქ, საცა მთავრობის უფლება შერყეულია, წესიერების მაგიერ თავს იჩენენ უწესოებანი, შფოთნი და მღელვარებანი. იქ აღარ არსებობს მდავრობა და ამას მოსდევს დამღუპველი ბოლო, შედეგი როგორც საზოგადოებისათვის, ისე თვით სახელმწიფოისათვის. აი ამ უბედურებამდისინ მიიყვანს კაცს სურვილი უმფროსობის, მთავრობის მოყვარეობის სული, იმას გარდა, რომ მიანიჭებს უღირსთა პირთა მთავრობასა, უმფროსობასა, რომ ჰბადავს უკანონო უფლებათა მეძიებლობას, ავრცელებს საზოგადოებაში ჩხუბს და მტერობას, ამცირებს კანონიერ მთავრობის პატივისცემას და მის ნაცვლად ჰბადავს მთავრობისადმი სიძულილს. ჰო! გამხრწნელო და დამღუპველო სულო!

Ⴐადგანაც ასეა, მაშ აღარავინ უნდა ისურვოს მთავრობა? მაშ ყველანი უნდა ერიდებოდენ უმფროსობის ადგილის მიღებას? შეიძლება ასე იფიქროს ვინმე მართლა, ვინც ჩვენი ზემო ნათქვამი გაიგონა. არა; თვით საღმრთო წერილიც 'არ გვიკრძალავს სრულებით მთავრობის, უმფროსობის სურვილს, მაგრამ ეს სურვილი ისეთ პირობაებს და თვისებას მოითხოვს მთავრობის მოსურნეთაგან, რომლების წყალობით მართლა სასარგებლო იქმნება საზოგადოებისათვის ამისთანა პირთა სამსახური.

Ⴓფალი ჩვენი Ⴈესო Ⴕრისტე დღევანდელ სახარებაში მთავრობის მოყვარეობისა გამო, მოწაფეთა მისთა იტყვის: ,,რომელსა უნდეს დიდ ყოფა თქვენ შორის, იყოს თქვენდა მსახურ. და რომელსა ენდეს თქვენ შორის პირველ ყოფა, იყოს ყოველთა მონა.'' (მარ. ი. მგ—მდ). თავის თავზედაც და მის ცხოვრებაშიაცა გვიჩვენებს მაგალითს Ⴋაცხოვარი ამისთანა უპირატესობისას. ,,და რამეთუ ძე კაცისა, როგორც იტყვის იგი, არა მოვიდა ვითარმცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი სახსრად მრავალთა'' (მარკ. ი, მე—მვ). ამ სახით სურვილი მთავრობისა, უპირატესობისა და უმფროსობისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი წარმოსდგება არა მარტო მთავრობის მოყვარეობისათვის, არამედ საზოგადოების მსახურებისათვის, როცა მეუფროსეს აქვს სახეში თავის ნიჭით და შრომით ემსახუროს სხვა ხელქვეშეთა საკეთილ დღეოდ. ამიტომ, როცა ეძიებენ უმფროსობას არა თავის სასარგებლოდ, არა დიდებისა და დიდ კაცობისათვის, არამედ თავ განწირული შრომისათვის საზოგადოების სასარგებლოდ, როდესაც ეძიებენ არა თავის სარგებლობას, არამედ სხვათა კეთილ დღეობას და სარგებლობას: ამ შემთხვევაში უპირატესობის, უმფროსობის სურვილი არა თუ აღეკრძალება კაცს, არამედ ნება ეძლევა, როგორც გვასწავებს თვით სიტყვა Ⴖვთისა,—ნება ეძლევა ყველას, რადგან ამისთანა სურვილი არის აუცილებელი პირობა შეძლებისა-და-გვარად კეთილ მსახურებისა. წმიდა მოციქული პავლე იტყვის: ,,სარწმუნო არს სიტყვა, უკეთუ ვისმეს ეპისკოპოსობის უნდეს, კეთილსა საქმესა გული ეტყვის'' (ტიმოთ. გ,—ა). აქედამ ცხადად სჩანს, რომ წმიდა მოციქული არა თუ აღგვიკრძალავს, არამედ კიდეც აქებს ეპისკოპოსობის სურვილს. მაგრამ ამავე დროს ის უჩვენებს იმ თვისებაებს, რომელითაც უნდა იყოს განსხვავებული ეპისკოპოსი; ამისათვის ეპისკოპოსობის მსურველმა უნდა დაინახოს თავისი ღირსება და უღირსება, ეს ღირსებანი უნდა შეადაროს თავის თვისებათა. ,,ჯერ არს ეპისკოპოსისა, იტყვის იგი, რათა უბრალო იყოს, ფხიზელ სწავლულ და წმიდა და სხვა''. ერთი სიტყვით მოციქული მოითხოვს,

რათა ეპისკოპოსი იყოს მაღალ ზნეობითი თვისებისა, მექონი და განსხვავებული ნიჭითა. ეს მოთხოვნილება მოციქულისა საჭიროა არა მარტო ეპისკოპოსისათვის, არამედ ყველა თანამდებობის პირთათვის, რომელნიც საზოგადოებას ემსახურებიან, ზედამხედველობენ და უმფროსობას კისრულობენ, მაშ სადამე მოციქულის სიტყვისამებრ, შეიძლება, ისურვოს კაცმა უმფროსობა, მთავრობა, მაგრამ ამასთანავე ის უთუოდ შემკული უნდა იყოს კეთილი ზნეობითი თვისებაებითა და უმფროსობის სურვილი დამყარებული უნდა იყვეს არა მარტო მთავრობის მოყვარეობაზე, არამედ საზოგადოების კეთილ დღეობის და სარგებლობის მოტანის სურვილზე.

ღვთის სიტყვა არ აღუკრძალავს კაცს უმფროსობას, მთავრობის სურვილს, მაგრამ ამ სურვილის აღსრულება კაცმა უნდა მიანდოს ღვთის განგებას. ღვთის განგებისაგან არის მომზადებული ყველასთვის მათი მდგომარეობა. (მარკ. ი. მ.) ზოგის—განგებით, სხვათა კეთილ მორჩილთა—დანიშვნით. თვითონ ღმერთი აღგვირჩევს ჩვენ რომელიმე თანამდებობის აღსრულებისათვის, თუ ჩვენ ღირსნი ვიქმნებით. ჩვენ ძლიერ დაიმედებული არ უნდა ვიყოთ ჩვენ აღრჩევაზე, არამედ მოველოდეთ ღვთის მოწოდებას. მოციქულნი უბრალო მეთევზენი იყვნენ, გარნა უფალმა მიიწოდა იგინი თვით უმაღლესი თანამდებობის აღსრულების თავის ეკკლესიასა შინა. ამისათვის თვითეული ჩვენგანნი უნდა უცდიდეს ღვთის გამგეობის ჩვენებას, რომელიც მოგვიწოდებს ჩვენ რომელიმე თანამდებობის აღსრულებისათვის და არა თვითონ უნდა ვეძიებდეთ სამსახურის მოპოებას.

შეგვეწიოს ჩვენ ყოველთა ღმერთი, რომ ავსცდეთ ჩვენ უმფროსობის, მთავრობის მოყვარეობას და მოგვანიჭოს ჩვენ სული სიმდაბლისა და სიყვარულისა, რათა ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა. ამინ.

## მოძღვრებათა სახელმძღვანელოდ აღსარების დროს.

1) ერთმა კეთილ მსახურმა ქრისტიანემ, როდესაც საკუთარი მოძღვარი გარდაეცვალა, კითხა მოსკოვის მიტროპოლიტს ფილარეტს: არის თუ არა საჭირო ახალ მოძღვარს აღუაროს ის შეცოდება, რომელიც აღიარებული იქნება მველ მოძღვართან?

ამ კითხვაზე მოსკოვის მიტროპოლიტმა მისცა მას მოკლე პასუხი. „მე ვარ დამფარველი ცოდვათა შენთა, სთქვა უფალმა, და არ მოვიხსენებ მათ.“ ამ სიტყვებს ნახავთ ისაიას საწინასწარმეტყველოში. ამისათვის ზოგიერთ განსაკუთრებულ გარემოებათა გარდა საჭირო არ არის ხელმეორეთ აღიაროს კაცმა ახალ მოძღვართან რაც წინეთ მველ მოძღვართან აღუარებია.

სამწუხაროა, რომ ფილარეტი არ უჩვენებს იმ „განსაკუთრებით გარემოებათა და შემთხვევათა“ როდესაც საჭიროა განმეორებით აღიარება ახალ მოძღვართან.

2) ამავე ქრისტიანმა მისცა მეორე კითხვა მიტროპოლიტს, რომელიც აღსარებას შეეხება: როგორ უნდა მოიქცეს მოძღვარი და რა კანონი უნდა დაადვას იმისთანა შეცოდებათა, რომელნიც მღვდელობას აღუკრძალავს? მიტროპოლიტმა ამ პირს მიუგო: „კითხვა—დაუხშავს თუ არა მომავლის გზას წარსული?“ —ძლიერ ძნელი ასახსნელია განსაკუთრებით „ჩვენ“ სამსახურში. კანონები ნამეტანი ნაწილი ფიცხელნი არიან, მაგრამ ეკკლესიის სწავლისა-მებრ ერთი წილი მიეტოება აღმსარებელთა.

# მოკლე სიტყვა,

თქმული ქუთაისის სხვა-და-სხვა მოხელეების აღრჩეულთა წარმომადგენელთა პირთადმი ყოვ-ლად უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ 14 ფებერვალს 1884 წ.

ძმანო—ქუთაისის სხვა-და-სხვა მოხელეთა-გან აღმორჩეულნო! მოგილოცავთ თქვენ ხელ-მწიფისაგან დღეს მონიჭებულს თქვენდამი წყალობას, ესე იგი საკუთარს თქვენს მმარ-თველობის დაწესებას. სხვა ყოველ ქალაქებში თქვენი წოდების და თქვენი მოხელეობის სა-ზოგადოებას ჰყავდა საკუთარი მათ შორის და მათგანვე გამორჩეულის პირებისაგან შედგენი-ლი გამგეობა. ჩვენს ქალაქში ჯერეთ არ იყო ეს წესდებულება. ახლა თქვენც ხელმწიფის წყალობით მოგენიჭათ ეს წესი და უფლება. ამიერიდგან თქვენი წოდების და მოხელეობის საქმეების გამგეობა იქმნება თქვენვე ხელში. ამიერიდგან თქვენ უნდა შეადგინოთ საკუთარი საზოგადოება და ამხანაგობა; ერთი მეორეს უნდა ეწეოდეთ და მეტადრე ცდილობდეთ, რომ თქვენი საკუთარი ხელობა წინ წავიდეს, გა-უმჯობესდეს. თქვენ, აღრჩეულნი პირნი, უნდა უყურებდეთ, რომ მოხელენი თავის შეგირდებს ზრდიდნენ და სვინიდისიანად ასწავლიდნენ თავის ხელობას; თუ გამოჩნდა თქვენ შორის ვინმე გაფუჭებული, უსაქმო, მავნებელი პირი, ის ან გაასწორეთ, მოაშლევინეთ სიცუდე და, თუ ეს ვერ მოახერხოთ, დაითხოვეთ თქვენი საზოგადოებისაგან, რომ სუყველას ჩირქი არ დაედვას.. ქვრივს და ობოლს მიხედეთ. მოუა-რეთ, რომ არავინ არ დაჩაგროს; თუ ერთმა-ნეთში მოხელეებს ცილობა ანუ უკმაყოფილება მოუვათ შესახებ მათის საქმეებისა, ანუ ქონე-ბისა, სიმართლით გაარჩიეთ და გარდასწყვი-ტეთ.

დიახ, კარგი უფლება და სამართალი მო-გეცათ თქვენ დღეს, მაგრამ იცოდეთ და გახ-სოვდესთ, რომ ვისაც, გინდ კერძო პირი იყოს, ანუ მთელი წოდება, უფლება და სამარ-თალი მოემატება, იმას ამით მოვალეობაც ემატება. სამართალი და უფლება მაშინ არის სასარგებლო, როდესაც კარგათ მოიხმარს იმას კაცი. როგორც სხვა ყოველნი სახელ-მწიფო კანონები და სჯულის დებულება არი-ან შედგენილნი და გამოცხადებულნი ჩვენის სიკეთისათვის, წარმატებისათვის და მშვიდო-ბისათვის, მსგავსადვე ეს წესდებილება და გამ-გეობა, რომელიც მოგეცათ თქვენ დღეს. თუ კარგათ მოიხმართ მათ, უეჭველია თქვენი საქმე წინ წავა. როგორც სხვა ყოველ საქ-მეში, ეგრეთვე ყოველნაირ მოხელეობაში კაცი თუ მარტო შრომობს, კარგათ ვერ წავა მისი საქმე და როდესაც ის შრომობს ამხანაგობით, ერთი მეორეს შეწევნით, მაშინ უმჯობესად წავა მისი საქმე. უეჭველია, თქვენ მადლიერი ხართ ხელმწიფისა, რომელმაც თქვენ ეს უფ-ლება მოგანიჭათ, მაგრამ რითი და რა სახით უნდა გადუხადოთ მადლობა? მით რომ კარ-გათ და თქვენდა სასარგებლოთ მოიხმართ იმ მოწყალებას, რომელიც დღეს მოგენიჭათ. თუ მთავრობამ დაინახა, რომ თქვენი საქმე უმჯრო-რიგიანათ წავიდა, თქვენი მდგომარეობა და ხელობა ცოტა მაინც გაუმჯობესდა, ეს მთავ-რობას იამება და თქვენც ქება გექნებათ, რო-მელიც ინებოს ღმერთმა. ამინ.

# განცხადებანი.

## მიიღება ხელის მოწერა ქართულს სასულიერო გაზეთს „მწყემსზედ“.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მმართებლობათა, კონსისტორიებთა და და მღვდელ-მთავრებთა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2) გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საქმეო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

გაზეთი გამოვა ორ ბეჭდის ქაღალდის ფურცელზე.

გაზეთის ფასი მარტიდამ გაგზავნით და გაუგზავნელად—**ოთხი მანეთი**, და **ათი შაური**, ნახევარი წლისა—**სამი მანეთი**.

გაზეთის დაბარება, წერილობით და პირის-პირ მოლაპარაკება შეუძლია ყველას რედაქტორთან რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლებში. გაზეთის დაბარება და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:

ქართული სასულიერო გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში დაბა შორაპანს (ყვირილაში). **Въ мѣстечко Шорапанъ (Квирилы) въ редакцію газеты „МЦКЕМСИ“.**

საქართველოს ექსარხოსის კანცელარიაში ისყიდება რუსულს ენაზე დაბეჭდილნი

**სიტყვანი და შესხმანი**

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის არხიეპისკოპოსის კიშინიევისა და ხოტინსკისა, დღეს საქართველოს ექსარხოსის პავლესი. სიტყვანი და მოძღვრებანი შესდგებიან სამი ტომისაგან. პირველი ტომი არის 545; მეორე ტომი—546 და მესამე ტომი—538 კაბადონი. ფასი სამივე ტომ. ოთხი მან. და ათი შ. წიგნების დაბარება შეიძლება ზემოხსენებულ კანცელარიიდამ და „მწყემსი“-ს რედაქციიდამაც.

**ვიღებ**

როგორც ქალაქებიდამ, ისე სოფლებიდამ ეკლესიის **კანკელებს** და **კიოტებს** გასაკეთებლად. ყოველ საქმეს შევასრულებ რიგიანათ და პირიანათ.

ჩემი ქარხანა იმყოფება ქ. თფილისში, საპერნის ქუჩაზედ, ალექსანდროვის სახლში, № 8.

კანკელისა და მებელის ოსტატი
დავით გიგაური.

*Дозв. цензурою Кутаисъ, 15 Марта 1884 г.*
რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.
მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.